

შპს კბდ გრუპი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძვლები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	8
5. ამონაგები	12
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
8. ფინანსური ხარჯები	12
9. გაცემული სესხები	12
10. მარაგები	13
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	15
15. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები	16
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

შპს კბდ გრუპი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	13055508	14,571,244
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(11384980)	(12,470,957)
საერთო მოგება		1670528	2,100,287
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(90212)	(41,974)
საოპერაციო მოგება		1580316	2,058,313
ფინანსური შემოსავალი		52	96
ფინანსური ხარჯი	8	(0)	(13,292)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		107106	7,823
წლის სრული შემოსავალი		<u>1687474</u>	<u>2,052,940</u>

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი ზ. ჯიქია ბელა შაიშმელაშვილი



შენიშვნები 9-15 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კბდ გრუპი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		247	331
გაცემული სესხები	9	-	-
		247	331
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	2258861	1,731,114
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	950133	966,945
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	4461	483
		3213455	2,698,542
სულ აქტივები		3213702	2,698,873
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		276	276
გაუნაწილებელი მოგება		3177933	2,697,664
სულ კაპიტალი		3178209	2,697,940
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		33103	933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2390	-
სულ ვალდებულებები		35493	933
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3213702	2,698,873

დირექტორი:



შპს კბდ გრუპი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერს	276	2,697,664	2,697,940
კაპიტალის ზრდა	0	-	0
წლის სრული შემოსავალი	-	1506535	1506535
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერს	0	4204199	4204475
წლის სრული შემოსავალი	-	(1025322)	0
განაწილება მესაკუთრეებს შორის	-	(944)	
კაპიტალის სხვა ცვლილება	-		
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერს	276	3177933	3178209

შენიშვნები 9-15 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დირექტორი

Handwritten signature



შენიშვნები 9-15 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კბდ გრუპი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კბდ გრუპი (შემდგომში „კომპანია“, საიდენტიფიკაციო ნომერი 406352628)) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2022 წლის იანვარში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ბელა შაიშმელაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი 1, ბინა 18. კომპანიის დირექტორი არის ბელა შაიშმელაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბრენდების ელექტრო საყოფაცხოვრებო ტექნიკის და შესაბამისი სათადარიგო ნაწილების იმპორტი და რეექსპორტი.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ერთობლივად „მსს ფასს“).

კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად, ქართულ ლარში. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე

მოითხოვს მენეჯმენტისგან, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გამოიყენონ ყველაზე შესაფერისი. სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და შეფასებები იქნა მიღებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და მათი შედეგები, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად

იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადადის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ოპერაციების ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანით, წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლო კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად აქტივებზე. უცხოური ვალუტის ნაშთების ქართულ ლარში გადასაყვანად გამოყენებული ვალუტის დახურვის კურსები (საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები) იყო:

	EUR	USD
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.9306	2.8068
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.9753	2.6894

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება ტრანზაქციის ფასით (ეს მოიცავს ტრანზაქციის ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომლებიც შეფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით). თუმცა, თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ტრანზაქციას, ის მაშინ იზომება მომავალი გადახდების ამჟამინდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება ბაზართან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია თავდაპირველად, გარიგების ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს შეაგროვოს ყველა კუთვნილი თანხა მოთხოვნების საწყისი პირობების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საპროცენტო ხარჯების აღიარებით ეფექტურ სარგებელზე.

მარაგები

მარაგების ხარჯები მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადებს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც შემდგომში ანაზღაურდება ერთეულის მიერ საგადასახადო ორგანოებიდან) და ტრანსპორტის, დამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მზა საქონლის, მასალების და მომსახურების შეძენას. სავაჭრო ფასდაკლებები, ფასდაკლებები და სხვა მსგავსი ოპერაციები გამოიქვითება მარაგების შესყიდვის ხარჯების განსაზღვრისას.

მარაგები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით და შემდგომში დაბალი თვითღირებულებით და წმინდა რეალიზებადი ღირებულებით.

მარაგების გაყიდვისას, ამ მარაგების საბალანსო ღირებულება უნდა იყოს აღიარებული ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარებულია შესაბამისი შემოსავალი.

კომპანია იყენებს სპეციფიკურ საიდენტიფიკაციო ღირებულების მეთოდს თავისი მარაგებისზე.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი აღიარებულია ხარჯად მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია აცხადებს დივიდენდებს. დაბეგვრის დრო არის წმინდა შემოსავლის განაწილების დრო. კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არის 15%. დაბეგვრის ობიექტი არის ყოველთვიური და არა წლიური შედეგები.

კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ოპერაციები/ფაქტობრივი გადახდები:

- დივიდენდების გადახდა
- განსხვავება ხელშეკრულების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- უფასო მიწოდება და საჩუქრები
- ლიმიტზე მაღალი წარმომადგენლობითი ხარჯები

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის არ არსებობს სხვაობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადასახადების გადახდა უნდა მოხდეს სახაზინო ერთიან კოდეზ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წმინდა საფუძველზე.

საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღიარებულია, როდესაც დგება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია აქტივად, როდესაც არსებობს მოლოდინი, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ რაოდენობით, რომლითაც იგი შეტანილია მფლობელების მიერ კომპანიაში. კაპიტალი აღიარებულია მფლობელების მიერ კომპანიაში შეტანილი შენატანების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე. შემოსავალი აღიარებულია, როდესაც ხდება საქონელის მიწოდება და საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიქმნება სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც საიმედო.

პროდუქციის რეალიზაციისას გაწეული ხარჯები აღიარებულია აღიარებული შემოსავლის პროპორციული გაანგარიშებით.

ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ბალანსის შემდგომი მოვლენები და მოვლენები ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ავტორიზაციის თარიღამდე, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მოხსენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ისინი მნიშვნელოვანია.

16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო, შვილობილ და იმავე დონის შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მხოლოდ მის სამართლებრივ მხარეზე.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გადინება და ასეთი ვალდებულებების ოდენობა საიმედოდ არის შეფასებული. ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება ნაკლებად სავარაუდოა.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად იქნება, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა შეფასების ცვლილება. ანარიცხი არის გაურკვეველი ვადის ან ოდენობის ვალდებულება.

ვალდებულება არის საწარმოს ამჟამინდელი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენებიდან, რომლის ანგარიშსწორება სავარაუდოდ გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გადინებას, რომლებიც შეიცავს ეკონომიკურ სარგებელს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც საწარმოს არ აქვს ამ ვალდებულების გადახდის რეალური ალტერნატივა.

სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს:

- (ა) ხელშეკრულებიდან (მისი აშკარა ან იმპლიციტური პირობებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) კანონის სხვა მოქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს საწარმოს ქმედებებიდან, როდესაც:

- (ა) წარსული პრაქტიკის, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების მიხედვით, საწარმომ მიუთითა სხვა მხარეებს, რომ ის მიიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას; და
- (ბ) შედეგად, საწარმომ შექმნა მართებული მოლოდინი სხვა მხარეების მხრიდან, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

როდესაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სარგებლის გადინება მოხდება მოვლენის შედეგად წარმოქმნილი და სავარაუდო ამჟამინდელი ვალდებულების გამო, ხდება რეზერვის შესაბამისი თანხის აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში.

თუმცა, როდესაც ასეთი გადინება დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, არ არის გარკვეული, რომ მოხდება, ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში შედის განმარტება პირობითი ვალდებულების შესახებ.

5. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები რეესპორტიდან	12,708,897	14,014,586
ამონაგები ადგილობრივი მომხმარებლებისგან	346,611	556,658
	13,055,508	14,571,244

კომპანია იღებს შემოსავალს ბრენდების ელექტრო საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მათ შორის ყავის აპარატების, ორთქლის უთოების, საკონტაქტო გრილის, ხორცის საკეპების, ბლენდერების და ა.შ. და მათთან დაკავშირებული სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023	2022
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(11,212,508)	(12,218,064)	(5,921,462)
ტრანსპორტირების ხარჯები*	(172,472)	(252,893)	(136,170)
ჯამი	(11,384,980)	(12,470,957)	(6,057,632)

(*) ტრანსპორტირების ხარჯები მოიცავს საქონლის მყიდველის საწყობამდე მიტანის ღირებულებას, რაც წარმოადგენს კომპანიის (როგორც გამყიდველის) ვალდებულებას გაყიდვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(53,934)	(38,431)
ბანკის საკომისიო	(875)	(2,367)
სხვა	(35,403)	(11,176)
	(90,212)	(41,974)

8. გაცემული/მიღებული სესხები

2024 წლის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები, და არც გაცემული სესხები.

9. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ტრანზიტში მყოფი საქონელი *	2,258,861	1,731,114	247,420
ტრანზიტში გაყიდული საქონელი **	-	-	3,009,500
	2,258,861	1,731,114	3,256,920

(*) ტრანზიტში მყოფი საქონელი მოიცავს 2,258,861 ლარის საბალანსო ღირებულების მარაგებს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,258,861ლარი), რომლებზედაც საკუთრების რისკები და სარგებელი გადაეცემა კომპანიას.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	950133	676,319
	950133	676,319
არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები	0	290,626
	0	290,626
მთლიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	950133	966,945

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მიმდინარე მოთხოვნებს 2024 წლის 31 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთ ძირითად მომხმარებელთან დაკავშირებით.

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები ბანკებში ეროვნულ ვალუტაში	4272	407
ფულადი სახსრები ბანკებში უცხოურ ვალუტაში	189	76
	4461	483

12.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები	33103	
სავაჭრო ვალდებულებები	2390	-
	35493	-

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც ეს განსაზღვრულია მსს ფასს-ის 33-ე ნაწილით, დაკავშირებულ მხარეთა განმარტებები წარმოადგენს:

(ა) პირი ან ამ პირის ოჯახის ახლო წევრი დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ ერთეულთან, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოს წევრი;

(ii) აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(iii) აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ ერთეულზე.

(ბ) საწარმო დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ საწარმოსთან, თუ მოქმედებს რომელიმე შემდეგი პირობა:

(i) საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო ერთი და იგივე ჯგუფის წევრები არიან (რაც ნიშნავს, რომ თითოეული მშობელი, შვილობილი და სხვა შვილობილი კომპანია დაკავშირებულია სხვებთან).

(ii) ერთი საწარმო არის მეორე საწარმოს ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო იმ ჯგუფის წევრისა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო).

(iii) ორივე საწარმო არის ერთი და იგივე მესამე საწარმოს ერთობლივი საწარმო.

(iv) ერთი საწარმო არის მესამე საწარმოს ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე საწარმო არის მესამე საწარმოს მეკავშირე საწარმო.

(v) საწარმო არის დასაქმების შემდგომი სარგებლის გეგმა, ანგარიშვალდებული საწარმოს ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან

დაკავშირებული საწარმოს თანამშრომლების სასარგებლოდ. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თავად არის ასეთი გეგმა, დამფინანსებელი დამსაქმებლები ასევე დაკავშირებულნი არიან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან.

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(vi) საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია (ა) პუნქტში.

(vii) საწარმო, ან ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომლის ნაწილიც ის არის, უწევს ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის მომსახურებას ანგარიშვალდებულ საწარმოს ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელ კომპანიას.

(viii) (a)(ii) პუნქტში იდენტიფიცირებულ პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საწარმოზე ან არის საწარმოს (ან საწარმოს მშობელი კომპანიის) ძირითადი მმართველი პერსონალის წევრი.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების დეტალები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2024	31.12.2023	
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
თანამშრომლების	ძირითა	(21250)	(15,306)	
ადიანი სარგებელი	მოკლევ დი მენეჯმე ნტი			

14. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

იურიდიული საქმეები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ქმედებები და საჩივრები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ქმედებებიდან ან საჩივრებიდან გამომდინარე, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხები არ არის დარიცხული.

გადასახადები

განსაკუთრებით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მენეჯმენტის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, გარიგებები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და შედეგად კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

კომპანიას მიაჩნია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი დანამატები არ განხორციელებულა. საგადასახადო წლები ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ სამი წლის განმავლობაში განსახილველად.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარებულია, როდესაც შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სანდო შეფასება. პირობითი ვალდებულების შესახებ დებულება არ იქნება აღიარებული, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ვალდებულებები ჯარიმებზე, პროცენტებზე და გადასახადებზე, შემოსავლის გარდა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო დანახარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

საკუთარი შეფასებებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ დამატებითი მატერიალური ზარალი არ იქნება წარმოებული საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით, გარდა ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღიარებულისა.

თუ კომპანია სრულად გაანაწილებს მიღებულ მოგებას 2023 წლის 31 დეკემბრამდე, კომპანია დაექვემდებარება 404,650 ლარის ოდენობის საშემოსავლო გადასახადს.

საოპერაციო გარემო

ისეთი განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ და სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესზე მოქმედი კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. სამართლებრივ,

მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.

15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ, 2025 წლის იანვარში კომპანიამ ისესხა თანხა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესავსებათ, საერთო ოდენობით 699989 აშშ დოლარი.